თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 5 აპრილი
მორიგი სხდომის
ოქმი № 6

ქ. თერჯოლა 5 აპრილი 2023 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარის მ/შემსრულებელი დავით გოგბერაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. დავით გოგბერაშვილი, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემურ ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. ომარი ჯიხვაშვილი, 11. ბადრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. მანუჩარ ფანჩულიძე, 15. შალვა ჭანკვეტაძე, 16. გრიგოლ გიორგაძე, 17. გოჩა ვერულაშვილი, 18. თამარ ახვლედიანი, 19. ფრიდონ გვენეტაძე, 20. დავით ცხადაძე, 21. ნატალია ასათიანი, 22. მერაბი ბასილაძე, 23. ტარიელ ფანჩულიძე, 24. რუსუდან კოვზირიძე, 25. როლანდი მესხი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. კახა ბუცხრიკიძე, 3. რამინი რობაქიძე, 4. კობა კირკიტაძე, 5. ივანე ჩუბინიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 25 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ³⁰სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-2823082135 წერილი, 23.03.2023 წ);

მომხს. ბ.ბუცხრიკიძე

2. ა(ა)იპ სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება -თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრის 2022 წლის გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ (სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება-თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის № 16-282305363 წერილი, 22.02.2023 წ).

/მომხს.ნ.ოქრუაძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე დადგენილების პროექტი - პროექტის მიხედვით განისაზღვრება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ (შემდგომში –2023 წლის აპრილიდან საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 127-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მიღებული მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (შემდგომში მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი) შესრულების კონტროლის განხორციელების პროცედურული საკითხები, რომელთა მიზანია თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შეჩერებული

მშენებლობების კონტროლის პროცესის გაუმჯობესება და კონტროლის მექანიზმების გამკაცრება, რათა სამომავლოდ თავიდან იქნას აცილებული შეჩერებული მშენებლობების გაგრძელების ფაქტები.

ამასთან, პროექტის მიხედვით, თუ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შეუსრულებლობას აქვს ადგილი, ზედამხედველობის სამსახური იწყებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებას და გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც არ ათავისუფლებს ზედამხედველობის სამსახურს ვალდებულებისაგან თვეში არანაკლებ ერთხელ შეამოწმოს შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შესრულება. აღნიშნული პერიოდული შემოწმება გრძელდება შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტში მითითებული სამართალდარღვევის აღმოფხვრამდე. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ობიექტის გადამოწმებით დადგინდა, რომ აღმოფხვრილია მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული სამართლებრივ აქტში მითითებული სამშენებლო სამუშაოების შეჩერების საფუძველი, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოიცემა „მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და სამსახურს აღარ აქვს ვალდებულება შეამოწმოს ხსენებული პერიოდულობით ობიექტი, გარდა იმ შემთხვევისა თუ ობიექტზე კვლავ არ გაიცა სამშენებლო სამუშაოების შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -25 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №8, 05.04.2023 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თერჯოლის სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება-თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორმა ბიუროს წევრებს გააცნო ცენტრის 2022 წლის გაწეული მუშაობის ანგარიში.

აზრი გამოთქვეს: ელისო მურადაშვილმა, დავით გოგბერაშვილმა, ნატალია ასათიანმა.

გადაწყვიტეს: დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება - თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრის 2022 წლის გაწეული მუშაობა.

სხდომის თავმჯდომარემ, დავით გოგბერაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის
მ/შემსრულებელი
დავით გოგბერაშვილი